

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტისა და „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-3/572, 09.03.2012) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი და „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი, მე-2 და 2¹ პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 25 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

პავლე კუბლაშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

ლევან ვეფხვაძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

დავით დარჩიაშვილი – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

აკაკი მინაშვილი – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

ვახტანგ ბალავაძე – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

გიორგი ახვლედიანი – ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

ჩიორა თაქთაქიშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ბექან ბუცხრიკიძე – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ზვიად კუკავა – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

გურამ ჩახვაძე – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ნიკოლოზ ლალიაშვილი – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

მაგდალინა ანიკაშვილი – საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

რატი მათისურაძე – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ანდრო ალავიძე – საქართველოს პარლამენტის წევრი

თამაზ კვაჭანტირაძე – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

კობა კურდღელაშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი

ნუგზარ ერგემლიძე – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

დიმიტრი ძაგნიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

გია ხუროშვილი – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ირაკლი ბურდული – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

გიორგი კვერენჩილაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

ვასილ გონაშვილი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

კახი ყურაშვილი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

ნანა ჭილაძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

დავით კერესელიძე – აკადემიური პერსონალი, სრული პროფესორი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის პირველი

მოადგილე მ. მაჭავარიანი

თბილისი,

2012 წლის 13 მარტი.

№5849–IX

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. კონსტიტუციის დარღვევისას ან/და დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. კონსტიტუციის 97-ე მუხლის 1- მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატის თავმჯდომარეს 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.

3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონტროლის პალატის დასახელების შესაბამისობაში მოყვანა მასზე დაკისრებულ ფუნქციებთან, ასევე კონტროლის პალატის სტრუქტურის მსგავსი ორგანოების დასახელებების იმ საერთაშორისო ანალოგების გათვალისწინება, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებენ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია საქართველოს კონტროლის პალატის დასახელების შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან და საერთაშორისო ანალოგებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტით ხდება საქართველოს კონტროლის პალატის დასახელების შეცვლა. კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ საქართველოს კონტროლის პალატას დაერქმევა „აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატა“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ახალი ფინანსური ვალდებულება სახელმწიფოს არ წარმოექმნება

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება არ შეიცვლება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა.) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ.) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი შეფასება კანონპროექტებს არ გააჩნია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები გელა ლონდარიძე, ემზარ გელაშვილი, აკაკი მინაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, პავლე კუბლაშვილი, გოჩა კუპრავა, მამუკა გაჩეჩილაძე, გიორგი ჭელიძე, ზურაბ მელიქიშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე, ხათუნა ოჩიაური, ელგუჯა მაკარაძე, კიკაღიშვილი ზურაბი, ბადრი ბასიშვილი, ნაული ჯანაშია, ჰოვჰანესიანი ჰარუთიუნი, თეიმურაზ ჩარკვიანი, დავით ნადაშვილი, ზურაბ ბუცხრიკიძე, დილარ ხაბულიანი, ზაზა გელაშვილი, მერაბ სამადაშვილი, კობოძე თემური, ვახტანგ მარტოლეკი, ანზორ ბოლქვაძე, რუსუდან კერვალიშვილი, მიხეილ ცქიტიშვილი, გურამ კაკალაშვილი, ნუგზარ აბულაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი, გოგუაძე გია, რომანოზ ბჟალავა, ლაშა დამენია, ლაშა თორდია, კობა ზადაგაძე, გიორგი იმნაძე, გიორგი როინიშვილი, ზვიად კუკავა, დავით თოდრაძე, დავით დარჩიაშვილი, დავით ბეჟუაშვილი, დევი ოვაშვილი, არმენაკ ბაიანდურიანი, ირაკლი ქავთარაძე, ზაალ გამცემლიძე, თეიმურაზ წურწუშია, გოდერძი ბუკია, მამუკა სანებლიძე, ზაზა მადურაშვილი, კახაბერ სუხიშვილი, გიორგი ხახნელიძე, კანდიდ კვიციანი, აკაკი ბობოხიძე, კობა ნაყოფია, თამაზ პეტრიაშვილი, დავით ჭავჭავაძე, სამსონ ქუთათელაძე, ოთარ თოიძე, როლანდ კემულარია, როლანდ ფიფია, ავთანდილ სტურუა, ჯაბა მაღლაკელიძე, ნუგზარ წიკლაური, ანდრო ალაგვიძე, გიორგი ასანიძე, გურანდა ჯაბუა, გიორგი ტალახაძე, გიორგი მელაძე, ვახტანგ ბალავაძე, ზაზა გულიკაშვილი, დავით მახნიაშვილი, კობა ხაბაზი, რატი სამყურაშვილი, ედიშერ ჯალაღონია, გიორგი გოდებრელიძე, მამუკა გოგატიშვილი, ელდარ კვერნაძე, შერვაშიძე იაშა, თავდგირიძე ასლან, თეიმურაზ ჩარკვიანი, ოთარ ხინიკაძე, ელენე ჯავახაძე, მიხეილ მაჭავარიანი, გოჩა ენუქიძე, კახა ოქრიაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები გელა ლონდარიძე, ემზარ გელაშვილი, აკაკი მინაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, პავლე კუბლაშვილი, გოჩა კუპრავა, მამუკა გაჩეჩილაძე, გიორგი ჭელიძე, ზურაბ მელიქიშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე, ხათუნა ოჩიაური, ელგუჯა მაკარაძე, კიკაღიშვილი ზურაბი, ბადრი ბასიშვილი, ნაული ჯანაშია, ჰოვჰანესიანი ჰარუთიუნი, თეიმურაზ ჩარკვიანი, დავით ნადაშვილი, ზურაბ ბუცხრიკიძე, დილარ ხაბულიანი, ზაზა გელაშვილი, მერაბ სამადაშვილი, კობოძე თემური, ვახტანგ მარტოლეკი, ანზორ ბოლქვაძე, რუსუდან კერვალიშვილი, მიხეილ ცქიტიშვილი, გურამ კაკალაშვილი, ნუგზარ აბულაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი, გოგუაძე გია, რომანოზ ბჟალავა, ლაშა დამენია, ლაშა თორდია, კობა ზადაგაძე, გიორგი იმნაძე, გიორგი როინიშვილი, ზვიად კუკავა, დავით თოდრაძე, დავით დარჩიაშვილი, დავით ბეჟუაშვილი, დევი ოვაშვილი, არმენაკ ბაიანდურიანი, ირაკლი ქავთარაძე, ზაალ გამცემლიძე, თეიმურაზ წურწუშია, გოდერძი ბუკია, მამუკა სანებლიძე, ზაზა მადურაშვილი, კახაბერ სუხიშვილი, გიორგი ხახნელიძე, კანდიდ კვიციანი, აკაკი ბობოხიძე, კობა ნაყოფია, თამაზ პეტრიაშვილი, დავით ჭავჭავაძე, სამსონ ქუთათელაძე, ოთარ თოიძე, როლანდ კემულარია, როლანდ ფიფია, ავთანდილ სტურუა, ჯაბა მაღლაკელიძე, ნუგზარ წიკლაური, ანდრო ალაგვიძე, გიორგი ასანიძე, გურანდა ჯაბუა, გიორგი ტალახაძე, გიორგი მელაძე, ვახტანგ ბალავაძე, ზაზა გულიკაშვილი, დავით მახნიაშვილი, კობა ხაბაზი, რატი სამყურაშვილი, ედიშერ ჯალაღონია, გიორგი გოდებრელიძე, მამუკა გოგატიშვილი, ელდარ კვერნაძე, შერვაშიძე იაშა, თავდგირიძე ასლან, თეიმურაზ ჩარკვიანი, ოთარ ხინიკაძე, ელენე ჯავახაძე, მიხეილ მაჭავარიანი, გოჩა ენუქიძე, კახა ოქრიაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი.

„საქართველოს კონსტიტუციურ კანონში „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ (15.10.2010. N3710–III) ცვლილების შეტანის თაობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტი

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციურ კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის 93-ე პუნქტის მე-6 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. სახელმწიფო სახსრების ხარჯვას პარლამენტი აკონტროლებს საქართველოს აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატის მეშვეობით.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციურ კანონში „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონტროლის პალატის დასახელების შესაბამისობაში მოყვანა მასზე დაკისრებულ ფუნქციებთან, ასევე კონტროლის პალატის სტრუქტურის მსგავსი ორგანოების დასახელებების იმ საერთაშორისო ანალოგების გათვალისწინება, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებენ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია საქართველოს კონტროლის პალატის დასახელების შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან და საერთაშორისო ანალოგებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტით ხდება საქართველოს კონტროლის პალატის დასახელების შეცვლა. კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ საქართველოს კონტროლის პალატას დაერქმევა „აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატა“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ახალი ფინანსური ვალდებულება სახელმწიფოს არ წარმოექმნება

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება არ შეიცვლება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა.) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ.) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი შეფასება კანონპროექტებს არ გააჩნია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები გელა ლონდარიძე, ემზარ გელაშვილი, აკაკი მინაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, პავლე კუბლაშვილი, გოჩა კუპრავა, მამუკა გაჩეჩილაძე, გიორგი ჭელიძე, ზურაბ მელიქიშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე, ხათუნა ოჩიაური, ელგუჯა მაკარაძე, კიკალეიშვილი ზურაბი, ბადრი ბასიშვილი, ნაული ჯანაშია, ჰოვხანესიანი ჰარუთიუნი, თეიმურაზ ჩარკვიანი, დავით ნადაშვილი, ზურაბ ბუცხრიკიძე, დილარ ხაბულიანი, ზაზა გელაშვილი, მერაბ სამადაშვილი, კობოძე თემური, ვახტანგ მარტოლეკი, ანზორ ბოლქვაძე, რუსუდან კერვალიშვილი, მიხეილ ცქიტიშვილი, გურამ კაკალაშვილი, ნუგზარ აბულაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი, გოგუაძე გია, რომანოზ ბჟალავა, ლაშა დამენია, ლაშა თორდია, კობა ბადაგაძე, გიორგი იმნაძე, გიორგი როინიშვილი, ზვიად კუკავა, დავით თოდრაძე, დავით დარჩიაშვილი, დავით ბეჟუაშვილი, დევი ოვაშვილი, არმენაკ ბაიანდურიანი, ირაკლი ქავთარაძე, ზაალ გამცემლიძე, თეიმურაზ წურწუშია, გოდერძი ბუკია, მამუკა სანებლიძე, ზაზა მადურაშვილი, კახაბერ სუხიშვილი, გიორგი ხახნელიძე, კანდიდ კვიციანი, აკაკი ბობოხიძე, კობა ნაყოფია, თამაზ პეტრიაშვილი, დავით ჭავჭავანიძე, სამსონ ქუთათელაძე, ოთარ თოიძე, როლანდ კემულარია, როლანდ ფიფია, ავთანდილ სტურუა, ჯაბა მაღლაკელიძე, ნუგზარ წიკლაური, ანდრო ალაგვიძე, გიორგი ასანიძე, გურანდა ჯაბუა, გიორგი ტალახაძე, გიორგი მელაძე, ვახტანგ ბალავაძე, ზაზა გულიკაშვილი, დავით მახნიაშვილი, კობა ხაბაზი, რატი სამყურაშვილი, ედიშერ ჯალაღონია, გიორგი გოდაბრელიძე, მამუკა გოგატიშვილი, ელდარ კვერნაძე, შერვაშიძე იაშა, თავდგირიძე ასლან, თეიმურაზ ჩარკვიანი, ოთარ ხინიკაძე, ელენე ჯავახაძე, მიხეილ მაჭავარიანი, გოჩა ენუქიძე, კახა ოქრიაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები გელა ლონდარიძე, ემზარ გელაშვილი, აკაკი მინაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, პავლე კუბლაშვილი, გოჩა კუპრავა, მამუკა გაჩეჩილაძე, გიორგი ჭელიძე, ზურაბ მელიქიშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე, ხათუნა ოჩიაური, ელგუჯა მაკარაძე, კიკალეიშვილი ზურაბი, ბადრი ბასიშვილი, ნაული ჯანაშია, ჰოვხანესიანი ჰარუთიუნი, თეიმურაზ ჩარკვიანი, დავით ნადაშვილი, ზურაბ ბუცხრიკიძე, დილარ ხაბულიანი, ზაზა გელაშვილი, მერაბ სამადაშვილი, კობოძე თემური, ვახტანგ მარტოლეკი, ანზორ ბოლქვაძე, რუსუდან კერვალიშვილი, მიხეილ ცქიტიშვილი, გურამ კაკალაშვილი, ნუგზარ აბულაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი, გოგუაძე გია, რომანოზ ბჟალავა, ლაშა დამენია, ლაშა თორდია, კობა ბადაგაძე, გიორგი იმნაძე, გიორგი როინიშვილი, ზვიად კუკავა, დავით თოდრაძე, დავით დარჩიაშვილი, დავით ბეჟუაშვილი, დევი ოვაშვილი, არმენაკ ბაიანდურიანი, ირაკლი ქავთარაძე, ზაალ გამცემლიძე, თეიმურაზ წურწუშია, გოდერძი ბუკია, მამუკა სანებლიძე, ზაზა მადურაშვილი, კახაბერ სუხიშვილი, გიორგი ხახნელიძე, კანდიდ კვიციანი, აკაკი ბობოხიძე, კობა ნაყოფია, თამაზ პეტრიაშვილი, დავით ჭავჭავანიძე, სამსონ ქუთათელაძე, ოთარ თოიძე, როლანდ კემულარია, როლანდ ფიფია, ავთანდილ სტურუა, ჯაბა მაღლაკელიძე, ნუგზარ წიკლაური, ანდრო ალაგვიძე, გიორგი ასანიძე, გურანდა ჯაბუა, გიორგი ტალახაძე, გიორგი მელაძე, ვახტანგ ბალავაძე, ზაზა გულიკაშვილი, დავით მახნიაშვილი, კობა ხაბაზი, რატი სამყურაშვილი, ედიშერ ჯალაღონია, გიორგი გოდაბრელიძე, მამუკა გოგატიშვილი, ელდარ კვერნაძე, შერვაშიძე იაშა, თავდგირიძე ასლან, თეიმურაზ ჩარკვიანი, ოთარ ხინიკაძე, ელენე ჯავახაძე, მიხეილ მაჭავარიანი, გოჩა ენუქიძე, კახა ოქრიაშვილი, ხათუნა

გოგორიშვილი.